ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის შემოღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N396 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის" 61-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის შემოღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N396 განკარგულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N396 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-6 პუნქტით, მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის/წევრის უფლებამოსილებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, როგორც დამფუძნებელი/წევრი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, დაამტკიცოს შესაბამისი იურიდიული პირის წესდება (დებულება), განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

ბ) განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

,,ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N396 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შემდეგ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ხსენებული საკითხი მოწესრიგების მიზნით, მიღებულ იქნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

განკარგულების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახური.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი - დავით ერემეიშვილი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი გიორგაძე.

იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი